ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02-22/49

ქ. ბათუმი 22 თებერვალი 2022 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო", ს/ნ 245675880 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „1001 წვრილმანი", საიდენტიფიკაციო კოდი 448385872, მის: ქ.ბათუმი, თ. ფალავანდიშვილის ქ., N 16ბ, მომსახურე ბანკი ს/ს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ნ GE93TB7591836050100001, წარმოდგენილი მისი დირექტორის რომან ბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ღებულობს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 28 თებერვლისა შემსყიდველს მიაწოდოს 30 ცალი კავიანი საკეტები (კარაბინი ჩამკეტით 06მმ), ერთეულის ფასი 2 ლარი (CPV 44522100 - კავიანი საკეტები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60 ლარს,

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. <u>დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი;</u>

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის თანამშრომელი თენგიზ ზენაიშვილი.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

_____	_____
Jemal Gvetadze Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze Дата: 2022.02.22 12:22:37 +04'00'	ltd 1001 tsvrilmani Digitally signed by ltd 1001 tsvrilmani Date: 2022.02.22 12:32:47 +04'00'